ცნობის ფურცელი

№ 2371 ორშაბათი, 5 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2371

ფასი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. უდამატებოთ, ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

წარმ. 37.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 6 იანვარს 1904 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

დამნაშავეა?

დრამა 3 მოქმ. ფოოსისა, თარგმ. ნიკიტინისა.

II

პარიკმახერისას

ვოდევილი 1 მოქ. ერისთავისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი, სარჯველაძე.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ღალატი" სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხისა.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 6 იანვარს, 1904 წ., ორი წარმოდგენა, დილით

რუსალკა

საღამოთი **რიგოლეტო**

მისის უდიდებ. სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა და არტისტის ბროჯი-მუტინის მონაწილეობით.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ენკვისტი, კალინინა, კარტავინა, კარი, ლელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი: ფიგნერი, ბროჯი-მუტინი, ხელიავინი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, სანგურსკი, ფედოროვი, კლიუზნერი, გრინევი, რაზუმნ. დასაწყისი დილ. 12½ ს., საღ. 8 საათზე. კაპელმეისტრები ი. ა. პოზენი, ე. ესპოზიტო. რეპერტუარი სხვა: ანონსი: 7 იანვარს წარმოდგენილ იქმნება „ტანგეიზერი", 8 იანვ. „ბოშების ბარონი" (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. [illegible] მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბე, ბიოსამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

(წლ.) ტელეფონი № 274

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეებით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი —7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—ნ.—29)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 ახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ახალი ამბავი

◆ 3 იანვარს საბრეშუმო სადგურში მოხდა **საბაღოსნო საზოგადოების** კავკასიის განყოფილების კრება. სხვათა შორის, კრებამ მოისმინა ას. ჟუკოვსკის მოხსენება ჩრდილოეთ კავკასიაში მეაბრეშუმეობის შესახებ. ამ ბოლო დროს მეაბრეშუმეობას შესამჩნევად მოუკიდნია ფეხი ჩრდილოეთ კავკასიაში. კამათის შემდეგ კრებამ სურვილი გამოსთქვა, შედგენილ იქნას სავალდებულო დებულება მეაბრეშუმეთათვის, რომ ისინი ხალხში დაავადებულ თესლს არ ავრცელებდნენ. კამათი გამოიწვია აგრეთვე ა. პ. სოლოვიოვის მოხსენებამ მეფუტკრეობის შესახებ. დამსწრეთა აზრით, მეურნეობის ამ დარგს, სხვათა შორის, ისიც აფერხებს, რომ მცხოვრებნი შეღავათიანის პირობით ვერ იღებენ სახელმწიფო მიწებს. სასურველად სცნეს სთხოვონ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს, დაუთმოს გრძელ ვადიან იჯარით მიწები ბორჩალოს მაზრის ტარსაჩაის ხეობის მცხოვრებთ, სადაც ბუნება განსაკუთრებით ხელს უწყობს მეფუტკრეობას. კრებამ დაადგინა, სთხოვოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, წაახალისოს რკინის გზის შტოებზე მოსამსახურე დარაჯნი მებუტკეები მიჰყონ ხელი მეფუტკრეობას. დასასრულ მოისმინეს საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1902 და 1903 წლებისა. 1902 წელს საზოგადოებას ჰყოლია 220 წევრი. 1903 წელს-კი 280 წევრი. საზოგადოებას საანგარიშო წლებში კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას გაუმართავს გამოფენები ხილეულობისა, მეაბრეშუმეობისა, მეფუტკრეობისა და სხვ. კრებამ მიიღო ანგარიში და დაადგინა, სთხოვოს მთავრობას, მეტი ფული გადაიდოს განყოფილების სასარგებლოდ.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ **ს. მესხის** ნაწერების პირველი ტომის ბეჭდვა თითქმის დამთავრებულია, მაგრამ წიგნი არ გამოვა დიდმარხვამდის, როდესაც გაიმართება სალიტერატურო საღამო ს. მესხის პატივსაცემლად.

◆ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობას შეუდგენია და კავკასიის უმაღლესს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარუდგენია 1904 წლის **ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი.** სულ საავადმყოფოს (სულით ავადმყოფთა განყოფილებისა და საფერშლო სკოლითურთ) დასჭირდება 134,866 მანეთი.

◆ უკვე ააგეს ის შენობა, სადაც უნდა მოთავსდეს **ტფილისის ცეცხლის მქრობელი რაზმი.** ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს იქვე ააგოს სადგომები პოლიცმეისტერის გამგეობისა და ბინის მოსათავსებლად; აგრეთვე პოლიციის მეოთხე ნაწილის გამგეობისა, ქალაქის ლომბარდისა, სააუქციონო დარბაზისა და საქიმიო ლაბორატორიისათვის.

◆ „ბაკინ. იზვ." საინტერესო ამბავს გადმოგვცემს: რიონის ახალ ხიდის შენების დროს, როდესაც წყალში ბოძსა სდგამდნენ, რკინის გზის ერთ ინჟენერს 5-6 საჟენის სიღრმეზე უნახავს მრავლად **ოქრო ნარევი ქვიშა.**

◆ როგორც „ბაკ. იზვ." გადმოგვცემს, შუამდგომლობა აღუძრავთ **ბაქოში აღმოსავლეთ ენათა კურსების** დაარსების შესახებ.

◆ **ბათუმში დაარსდა** და პირველ იანვრიდან მოქმედებას შეუდგა სამარხო კასსა. 28 დეკემბერს კრება ჰქონდათ დამაარსებელთ. გამგეობის წევრებად აარჩიეს ვ. მ. ლომინაძე, ი. ნ. გოგოლაშვილი და მ. ნ. ვლასოვი.

◆ თავ. დიმიტრი ჭავჭავაძე დაინიშნა ახალქალაქის მაზრის პირველ ნაწილის **მომრიგებელ შუამავლად.**

◆ გაბრიელის სახელობის წიგნთ-საცავის გამგე ქ-ნი ჯინოევისა გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმესს და უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც გაბრიელის სახელობის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გამართულ ქართულ-რუსულ კონცერტში (29 ნოემბერს) მონაწილეობა მიიღო, სახელდობრ: სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს მღვდელს მ. კელენჯერიძეს, სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს ი. ი. ოცხელს (რომლებმაც თავიანთ მოწაფეებს ნება მისცეს ხორში მონაწილეობისა), ქ-ნ მ. გ. ძნელაძეს, ბ-ნ თუთბერიძეს, მოროზს, მალცევს, ვილკომირსკის; უსასყიდლოდ ორკესტრში დამკვრელთ: ცეცხლაძეს, გეშელავას, ფოთის რაზმის კაპელმეისტერს, სტროგანოვს, მაისურაძეს, გარსევანოვს, კუვარდინოს, ტეპცოვს, ზაიცევს და რუვინს, ხოროსა და ორკესტრის დირიჟორს სტუდენტს გ. გ. ფოცხვერაშვილს; ყველა იმათ, ვინც ხორში მონაწილეობას იღებდა, ფული შემოსწირა და კონცერტს დაესწრო. შემოსავალი იყო: ბილეთებიდან—629 მ. პროგრამმებიდან და კამფეტებიდან 50 მ.; შემოსწირეს: შავი ქვის მრეწველთა სხდომამ—25 მ., ბ. ლომიძემ—7 მ., ს. გ. ბოგოროდსკაიამ—5 მ., დ. ა. ლორთქიფანიძემ—5 მ., დეკანოზმა გ. ცაგერეიშვილმა—3 მ., ს. დ. ლორთქიფანიძემ—3 მ., ქ. გ. ლორთქიფანიძემ—3 მ., გ. ანდროვმა—3 მ., მ. ლ. ჩხეიძემ—2 მ., გ. გაჩეჩილაძემ—2., ა. აბაშიძემ—1 მ., გ. გურგენიძემ—1 მ., სულ 739 მანეთი. ხარჯი: თეატრის ქირა და მომსამსახურეების საჩუქარი—54 მ., ზოგიერთ ორკესტრში დამკვრელებს მიეცათ—20 მ., კამფეტები—24 მ. 85 კ., აფიშები, პროგრამმები და მოსაპატიჟებელი წერილები—20 მ. 15 კ., პიანინოს საქირაო და გადატან-გადმოტანა—12 მ., ცირის მაგიდა, სასიარულო და წვრიმალი ნახარჯი—20 მ., მიეცა ხოროსა და ორკესტრის შედგენისათვის და კონცერტზე დირიჟორობისათვის სტუდენტს გ. გ. ფოცხვერაშვილს—250 მანეთი. სულ 401 მანეთი; წმიდა შემოსავალი დარჩა 338 მანეთი.

რუსეთის ქრონიკა

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს შეუმუშავებია ღონისძიებანი, რომლითაც აზრად აქვთ, უზრუნველ ჰყონ უბედურ შემთხვევათაგან სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მომუშავეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ეს ღონისძიებანი სავალდებულოა იმ სასოფლო-სამეურნეო წარმოებებში, რომელნიც დეპარტამენტის უწყებაში იმყოფებიან. აზრად აქვთ, ახლო მომავალში ეს ღონისძიებანი სავალდებულო ჰყონ კერძო მეურნეთათვისაც. როგორც სენატს განუმარტავს, კერძო პირთ ნება აქვთ, ქალაქის საბჭოს დადგენილებაზე საჩივარი შეიტანონ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დადგენილებანი მათ კერძო ინტერესებსა და უფლებას არღვევს.

◆ საქალაქო დებულებაში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი საბჭოს ის დადგენილებანი, რომელნიც დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა წარედგინონ. ბევრი ქალაქის საქმეთა საკრებულო საბჭოს იმ დადგენილებებს, რომელნიც კანონს ეწინააღმდეგებოდნენ, მინისტრს არ უდგენდა დასამტკიცებლად და თვითონ აუქმებდა. ამ ჟამად სენატს განუმარტავს, რომ საკრებულონი ვალდებულნი არიან, ამ კატეგორიის ყოველგვარი დადგენილებანი საბჭოსი წარუდგინონ მინისტრს მიუხედავად იმისა, ეწინააღმდეგება კანონს თუ არა.

◆ სარატოვის გუბერნატორის განკარგულებით ცარიცინის გაზეთების ცენზორობა ევალება ცარიცინის სავაჟო გიმნაზიის დირექტორს სტოლიპინს. („ბაკ. იზვ.")

◆ ბორბრუისკში პუშკინის სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკის ხელის მომწერთ, რიცხვით 50 კაცს, უთხოვნიათ ბიბლიოთეკის კომიტეტისათვის, მომავალ 1904 წლისათვის „ნოვ. ვრემია"-ს ნუ გამოიწერთ იმისი მიმართულებისა გამოო. კომიტეტიც თანაგრძნობით მოჰკიდებია ამ თხოვნას და გადაუწყვეტია, გაზეთ „ნოვ. ვრემია"-ს ნუ გამოვიწერთო.

წერილი ზემო სვანეთიდან

„კონწხრობა" და იმის შედეგი.—ქალების გათხოვება.

დაიწყება თუ არა ქრისტეშობისთვის მარხვა, თავდება კიდეც აქაური „კონწხრები". „კონწხარი" არის აღაპი, რომელსაც მიცვალებულის პატრონი იხდის იმის (მიც.) სულის მოსახსენებლად. ამ დროისთვის მოსახლე, რომელსაც უნდა გადაიხადოს „კონწხარი", მზადებას თითქმის ერთ-ორი კვირით ადრე შეუდგება ხოლმე. მომზადების შემდეგ დაპატიჟებს მთელს საზოგადოებას და გარეშე საზოგადოებიდან მოყვრებს. მიიწვევს მღვდელს სახლში და გადაახდევინებს პანაშვიდს, მერმე კი მიჰყოფენ ხელს ქეიფობას. რადგან ადგილობრივი არაყი ბევრი აქვთ, თვრებიან ისე, რომ ხშირად არაფერი გაეგებათ, მოსდით ჩხუბი ცოტა რამეზედ, რაც ხშირად თავდება რომელიმე მოჩხუბრის სიკვდილით. ხშირად ნათესავებიც კი არა ჰზოგავენ ერთმანეთს. ამას წინა ს. ეცრის მცხოვრებმა გლეხმა [illegible] დასჭრა თავისივე ბიძაშვილი, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. მოკლულის ძმამ მაშინვე სისხლი იძია და დასჭრა მკვლელის ძმა. ამნაირად [illegible] „კონწხარზედ" შეკრებილი, იმის მაგივრად, რომ მიცვალებულის სული ღმერთს შეავედრონ, თვრებიან, ჰკლავენ ერთმანეთს და იმზადებენ მომავალი წლისთვის „კონწხარს. როგორც ზევითა ვსთქვი, იმ მოსახლისას, რომელიც „კონწხარს" იხდის, შეიკრიბება მთელი საზოგადოება. მასპინძელმა [illegible] დენი სანოვაგე უნდა დაამზადოს, რომ არა [illegible] აქ გაუმასპინძლდეს ხალხს, სახლ[illegible] მიაც ბევრ[illegible] და გაატანოს. ამდენი ხალხის გამასპინძ[illegible] ხუმრობა არ არის. ხშირად ზოგიერთ მოსახლე, „კონწხარის" გადახდის შემდეგ წლიური სარჩო აღარა რჩება და იძულებულია ნაცვლის პურითა სიმინდით ასაზრდოოს ოჯახი. მაგრამ ეს [illegible] ნასესხნი ძლიერ ძვირია აქეთ — „კიდოლა" ([illegible] ფ. და 10 გირ.) 3 მ.—6 მანეთამდის. წა[illegible] მოიდგინეთ ეხლა, რამდენი მოუნდება ოჯახს ამსთანა „კიდოლა!" თუ აქვს ფული, ხომ კარგ[illegible] თუ არა, უნდა ისესხოს თუმანი თვეში 25 კ.-50 კ. ასე რომ წლის ბოლოს თავისი წლიუ[illegible] მოსავალი მარტო სარგებელს ვერ გაუსტუმრებ[illegible] ამნაირად გარდება ვალში ოჯახი და თ[illegible] იღუპება.

ამას წინად აქეთ ერთი ისეთი შემთხვევა [illegible] ხდა, რომელიც ნებას მაძლევს გავაცნო მკითხველებს სვანების ჩვეულება ქალების თხოვა-გათხოვისა. ქალების დანიშვნა იციან აქეთ ძლიერ ადრე, ასე რომ ხშირად ნიშნობას და ჯვრის წერას გაივლის 5—10 წელიწადი. ამ დროში სას[illegible] უნდა ეცადოს და გადიხადოს [illegible] წოდებ[illegible] „ნაჭვლაში". „ნაჭვლაში" ჰქვია იმ ფ[illegible], რომელსაც [illegible] სთხოვს სასიძო „ნ[illegible] ლაშს" იხდიან [illegible] თავაც მაგრამ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში [illegible] ფასად იღებენ. ქრთამს, გვითქვამთ, ორი სამი თუმანი, „ნაშვლაშში“ კი თხუთმეტ მანეთს ზევით არ მაიღებენ. როგორც ზევითა ვთქვით, ნიშნობასა და ჯვრის წერას შუა დიდი დრო გადის. ამ ხანში სასძლო იზრდება, ეჩვევა თავის საქმროს და ხშირად მოხდება, რომ არ მოეწონება ამორჩეული, ამიტომ ყოველ ღონეს ღონობს, რომ ჯვარი არ დაიწეროს. მაშინ სასიძო სცდილობს ცოლთურს სამაგიერო გადაუხადოს. სადმე ცხადად ან ჩუმად მოჰკლავს საცოლეს ან მამას და ან ძმებს. ამ უკანასკნელების ნათესავებიც დაუწყებენ სისხლის ძიებას სასიძოს ნათესავებს და იწყებენ ერთმანეთის ამოწყვეტას. თუ ქალის ზორისუფალს უნდა თავიდან აიშოროს სასიძოს მხრივ მტრობა, მაშინ უნდა გარისხოს თავის შვილობიდან ურჩი ქალიშვილი და გააგდოს სახლიდან. ამ ნაირ გარისხულ ქალიშვილს მონათესავე ვერავინ შეუშვებს სახლში. თუ ვინმე აღმოჩნდა არა ნათესავი და სახლში შეიყვანა, ხომ კარგი, თუ არა, უნდა გახდეს მაწანწალა. თუ თავიდანვე ჰყავს ასეთ ქალს გულის სატრფიალო, მაშინ დედ-მამის გარისხვას ყურადღებას არ აქცევს და მიდის იმასთან, თუ არა ჰყავს, მაშინ მაწანწალურ ცხოვრებას ამჯობინებს, რასაკვირველია, თანხმობის გამოცხადებას ჯვრის წერაზედ. მაგრამ ვერც მერმე ეთვისებიან ერთმანეთს და ბოლოს რომ ვერაფერი გაუდის, მიჰმართავს ხოლმე თავის მოკვლას. აი, ამ სამი კვირის წინად ს. ფარში ერთმა ახალგაზდა ქალიშვილმა, გვარად ვიბლიანმა, სასიკვდილოდ გაიმეტა თავი. ეს ქალი დანიშნული იყო ბავშვობისას თავისავე სოფლის გლეხზედ—გადრანზედ. როცა წამოიზარდა, არ მოეწონა საქმრო. ბევრი ეცადა, როგორმე მოეშორებინა სასიძო ისე, რომ მტრობა არ დაეწყო, მაგრამ არა გაუვიდა-რა. ბოლოს დედ-მამამაც ძალა დაატანა, ჯვარი დაიწერე, თორემ სახლში არ დაგაყენებთო. რა ექნა უბედურს, არ იცოდა. ადგა ბოლოს და დაიწერა ჯვარი. მაგრამ ვერ შეეთვისა და ამიტომ გაიმეტა თავი სასიკვდილოდ. ეს პირველი მაგალითი არ არის. ამისთანავე ამბავი მოხდა წარსულ ზაფხულს ს. იფარში. გასაკვირველი ის არის, რომ აქეთ კაცები არა წუნობენ თავიანთ საცოლეებს, ბავშვობითვე ამორჩეულს, და რაც უნდა ულაზათო ქალი იყოს, ისინი მაინც თხოულობენ.

ს. საჩსონისძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 იანვარი

სოფია. მხედრობის გაძლიერებასა და მრავალ თოფიარას დანიშვნას აქ სთვლიან არა ომიანობის ნიშნებად, არამედ ღონისძიებად ყოველგვარ შემთხვევისათვის. ბოლგარიას აზრად არ აქვს, ომი დაიწყოს, მაგრამ მოვალეობად სთვლის მზად იყოს თავის დასაცველად. გაზეთები იუწყებიან, რევოლიუციონერებისა, სხვა-და-სხვა კომიტეტის წევრებისა, რომელნიც ბოლგარიაში იმყოფებიან, და მაკედონელებს შორის უთანხმოება და ხშირად ისეთი შეტაკებაც ხდება, რომ სისხლი იღვრებაო. ეს შინაური განხეთქილება ასუსტებს მაკედონელ მოღვაწეთა სოლიდარულ მუშაობას.

ოპოზიციას აზრად აქვს განაგრძოს ობსტრუქცია.

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, უკანასკნელ ხანებში პორტა სრულიად თანხმაა, მიიღოს რუსეთისა და ავსტრიის მოთხოვნანი შესახებ სამოქალაქო აგენტებისა, ჟანდარმერიისა და კონტროლისა.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტმა იაპონიიდან ცნობა მიიღო, რომ იქ განსაცვიფრებელ ენერგიით ემზადებიან საომრადაო; თუმცა რუსეთი ამბობს, მშვიდობიანობის დაცვა მსურსო, მაგრამ თავის მხრივ დათმობა არ სწადიან.

პეკინი. როგორც ინგლისის კონსული იუწყება ნიუ-ჩუანიდან, რუსეთის ჯარები თავს იყრიან ლიაოიანსა, ხაიჩენსა და ტიან-ჩუანში; აქედან რუსეთს შეძლება ექნება, დაიჭიროს მდინარე ლიაოსა და დიდ კედელ შუა მდებარე ადგილი და თავის სრულ განკარგულებაში იქონიოს ნიუ-ჩუან-შანჰაიგუანის რკინის გზის ლიანდაგი.

ტოკიო. ყველა გავლენიანი გაზეთი ამ ჟამად ომს აუცილებლად სთვლის, ბეჯითად თხოულობს, რომ იაპონია ომისათვის არავითარ ხარჯს არ შეუშინდეს, და არწმუნებენ ერს, სამშობლოს ერთგულად მსხვერპლი შესწირონ. ხაზინაში ნება-ყოფლობით შემოაქვთ დიდ-ძალი შეწირულება.

ლონდონი. იაპონიის ელჩმა განუცხადა „რეიტერის სააგენტოს“ წარმომადგენელს, ბერლინიდან მოსული ცნობა, ვითომ იაპონიას წარედგინოს კონტრ-წინადადება კორეიისა და მანჯურის ნაწილის ნეიტრალიზაციის შესახებ, ყოველ საფუძველს მოკლებულიაო. „ჩვენ გვსურს მივაღწიოთ მეგობრულ შეთანხმებას, რომლის ძალითაც რუსეთმა უნდა აღიაროს პოლიტიკა „ღია კარებისა“.

იაკუტსკი. ბარონ ტოლის ძებნამ ახალ-ციმბირის კუნძულებსა და „ბენეტ“-ზე უნაყოფოდ ჩაიარა. „ბენეტ“-ზე ტოლს დაუტოვებია საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ 1902 წელს 29 ოქტომბერს სამხრეთისაკენ გამგზავრებულა.

ბერლინი. გაიხსნა პრუსიის ლანდტაგი. იმპერატორმა მაღალის ხმით წაიკითხა სეფე-სიტყვა.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“ აღნიშნავს, რომ შორეულ-აღმოსავლეთში ევროპის სახელმწიფოთ თანასწორი სამხედრო ძალა არა აქვთ აქამომდე. სავაჭრო ინტერესებისა გამო ერთმანეთის მეტოქე ინგლისისა და იაპონიის კავშირი ხანგრძლივი არ არის. იაპონიის ყურადღება ამ ჟამად მიაქცეულია კორეასა, მანჯურიასა და კვანტუნზე და შესაძლებელია, შემდეგ ყურადღებს ჩინეთის სამხრეთ ნაწილსაც მიაპყროს და ეცადოს იქ თავის მოკავშირე ინგლისის საზარალოდ მოქმედება იქონიოს. მშვიდობიანობა მაშინ გამტკიცდება, როდესაც ინგლის-იაპონიის კავშირი მოისპობა და ინგლისი რუსეთსა და საფრანგეთს დაუკავშირდება. შინაურ მიმოხილვაში გაზეთი აღნიშნავს ნამესტნიკის სიტყვით ჯარების უფროსისა და ჩინეთის რკინის გზის მმართველის მიერ გამოცემულ ბრძანებას, რომლითაც ევალებათ ყველა უფროსებს, ჩააგონონ ჯარის-კაცთ და ხელქვეით აგენტებს, რომ ჩინეთის მცხოვრებთა თავმოყვარეობა და სარწმუნოებრივი რწმენა არ შეურაცხჰყონ, რადგანაც ამ მცხოვრებთაც ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ჩვენა, მოითხოვონ პატივი სცენ მათ ადამიანურ ღირსებას, ზნე-ჩვეულებას, რწმენას, ქონებრივსა და ოჯახურს უფლებებს. მოპყრობა უნდა იყოს მტკიცე და სამართლიანი. ვინც ცოტაოდენ თვით-ნებობასა და ძალმომრეობას გამოიჩენს, სასტიკად იქნება დასჯილი. ჩინეთიდან მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, რომ პეკინის სასახლის წრეებში აღძრულია საკითხი მემკვიდრის დანიშვნის შესახებ.

4 იანვარი

პეტერბურგი. სენატორს თავ. ობოლენსკის ებოძა მეორე ხარისხის ორდენი ვლადიმირისა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, შეჩერებულ იქმნას სამის თვით გაზ. „ვოლინ“.

ლონდონი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად იტყობინებიან ვინიპეგიდან, იაპონიის მთავრობის წარმომადგენელი იჯარით შეეკრა მანიტობის პროვინციაში დიდძალ ხორბლის შესყიდვის თაობაზეო.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). დიპლომატთა წრეები გაცხოველებით სჯა-ბაასობენ ოსმალეთის კომისარის ფერუხ-ბეის მოულოდნელად კონსტანტინეპოლს წასვლის შესახებ.

გუშინ სასახლეში ახალის წლისა გამო გამართული იყო ნადიმი, რომელსაც დაესწრო ყველა უცხოელი აგენტი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,95	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,80	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,67½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99½	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	428	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	316	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	273	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	90¾	„
4½% ობლ. იმავე საზოგად.	83½	„
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	85¼	„
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	92	მყიდ.
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	87	„
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	100	„
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	245	„

განცხადებანი

აფხანაურის სანერგე

ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქვე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/5 წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—210—10)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მივარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საფაბრიკოსაწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ვ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (0—115)

ტელეფონი № 741 — ტელეფონი № 741

დაარსების მიზანი

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—27)

Принимается подписка на

„Коммерческое и Бухгалтерское Самообразованіе“.

Въ теченіе 1904 г. 150 выпусковъ

Подъ редакціей П. Г. Мандэна, учредителя состоящихъ въ вѣдѣніи Министерства Финансовъ курсовъ Счетоводства и Иностранной торговой корреспонденціи въ Одессѣ.

Изданія эти состоятъ изъ популярныхъ самоучителей по Бухгалтеріи, Коммерческой Ариѳметикѣ, Политической Экономіи, Законовѣдѣнію, Агентурно-Комиссіон. дѣлу товаровѣдѣнію съ посылкою образцовъ и другихъ предметовъ въ объемѣ программъ Коммерческихъ училищъ Министерства Финансовъ. Цѣна 11 руб. съ пересылкой; разсрочка при подпискѣ 5 руб. въ Мартѣ 3 р. въ Апрѣлѣ 3 р.

Только Бухгалтерское Самообразованіе (60 вып.) 5 р.

Въ концѣ года будетъ устроена выставка бухгалтерскихъ работъ г.г. подписчиковъ, за удовлетворительныя работы Комиссія изъ опытныхъ бухгалтеровъ выдастъ свидѣтельство.

(Ѳ. 3—3) Заказы посылать на имя: **П. Г. Мандэнъ въ Одессѣ.**

При каждомъ № „НИВЫ“, независимо отъ другихъ приложеній, подписчики получатъ по одной книгѣ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1904 годъ
(35-й годъ изданія)
на еженедѣльный иллюстрированный
ЖУРНАЛЪ
со многими приложеніями

НИВА.

Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1904 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала „НИВА“, заключающаго въ себѣ въ теченіе года до 2000 столбцовъ текста и 1100 гравюръ, рисунковъ и художественныхъ снимковъ.

40 КНИГЪ „Сборника НИВЫ“ (каждая книга отъ 10—15 листовъ, въ общемъ около 9.000 страницъ), отпечатан. четк. шрифтомъ на хорошо-глазиров. бумагѣ и содержащихъ:

Полнаго собранія сочиненій

20 первыя книгъ А. К. ШЕЛЛЕРА-МИХАЙЛОВА.

(Цѣна въ отдѣльной продажѣ съ перес. 27 руб.).

Подъ редакціей и со вступительною статьею А. М. Скабичевскаго.

Полное собраніе сочиненій въ

16 книгахъ ГЕНРИХА ГЕЙНЕ.

(Цѣна въ отдѣльной продажѣ съ перес. 15 руб.).

Подъ редакціей и съ біографическимъ очеркомъ П. И. Вейнберга; переводъ этого изданія удостоенъ въ текущемъ году академіею наукъ пушкинской преміи.

Полное собраніе сочиненій въ

4 книгахъ И. Ф. ГОРБУНОВА.

(Цѣна въ отдѣльной продажѣ съ перес. 4 руб. 50 к.).

Подъ редакціей и съ обширнымъ вступительнымъ очеркомъ А. Ф. Кони и некрологомъ Т. И. Филиппова.

12 КНИГЪ „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ и ПОПУЛЯРНО-НАУЧНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ“, содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя и критическія статьи современныхъ авторовъ и отдѣлы библіографіи, музыки, смѣси, шахматовъ и шашекъ, спорта, забавъ и разныхъ игръ. До 2000 столбцовъ текста съ иллюстраціями.

12 №№ „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно. До 200 столбц. текста и 300 модныхъ гравюръ. Съ почтовымъ ящикомъ для отвѣтовъ на разнообразные вопросы подписчиковъ.

12 ЛИСТОВЪ рисунковъ (около 300) для рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и для выжиганія и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, в[illegible]одящихъ ежемѣсячно.

1 „Стѣнной календарь“ на 1904 годъ, отпечатанный въ 9 красокъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми приложеніями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—6 руб. 50 к.; 2) Москвѣ въ кн. маг. Н. Н. Печковской (Петровск. линіи)—7 руб. 25 к.;) въ Одессѣ въ кн. маг. „Образованіе“ (Ришельевск. № 12)—7 руб. 50 коп. Съ доставкой въ С.-Петербургѣ—7 руб. 50 к. СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ ВО ВСѢ ГОРОДА и МѢСТНОСТИ РОССІИ—8 р. за границу—12 р.

◆ **Допускается разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока** ◆

Иллюстрированное объявленіе о подпискѣ высылается безплатно.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургъ, въ Главную Контору журнала „НИВА“ А. Ф. Марксу). улица Гоголя (бывш. М. Морская), д. № 22 (Ѳ. 1—7)

[illegible] Тифлисъ 4 января 1904 г. — ელექტრონის ბეჭდვა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—в